# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 465

„27" ნოემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული პატარძეულის შესახვევისთვის მომღერალი ეთერ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩას და მასთან არსებულ პატარძეულის შესახვევს მიენიჭოს მომღერალი ეთერ კაკულიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გახორციელება.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X- 486.413.850
Y- 4.614.990.710
X-486368.193
Y4614948.551
X- 486.406.441
Y- 4.614.972.186
ეთერ კაკულიას ქ.
I შეს.
X- 486.295.299
Y- 4.614.905.964
X-486434.054
Y-4614836.342